პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 სექტემბერი, შაბათი, 1973, ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 211 (15728)

## გადამწყვეტი წლის რთველი

**მევენახეთა ღირსებისა და სახელის საქმეა მივყიდოთ სახელმწიფოს 300.000 ტონა ყურძენი!**

**მხარი დავუჭიროთ ჩუმლაყელ და კლდეეთელ კოლმეურნეთა თაოსნობას — საკარმიდამოს ყურძენი მივიტანოთ სახელმწიფო მარანში!**

რთველი!... აჰა ისიც კარს მოგვადგა. ზოგან ხარისთვალივით შავად ბრიალებს, ზოგან ოქროსფერი შეჰპარვია მტევნებს, დაშაქრდა, დატკბა ყურძენი. მევენახეები ასეთ დროს განსაკუთრებული მონდომებით, ალმაფრენით იმსჭვალებიან, ყოველ მტევანს, ყოველ მარცვალს თავს დასტრიალებენ, უძილო ღამეებიც ბევრი აქვთ და მძიმე შრომით აღსავსე დღეებიც.

ეს ორი წელია ყინვა და სეტყვა განსაკუთრებით მიეძალა ჩვენს ვენახებს, მოულოდნელად თავს დაესხა და ბარაქაც შეუმცირა, დიდი საზრუნავი გაუჩინა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ყურძენი კი... მოგეხსენებათ, ძვირფასი პროდუქტია, მევენახეთა სიმდიდრის, მათი სახელისა და დიდების უშრეტი წყაროა. ვერა, ვერ დათმობს მის სიუხვეს, მის სიყვარულს ვაზის შვილივით გამზრდელი მეურნე კაცი. ეს საუკეთესოდ დაადასტურა მევენახეთა წლევანდელმა დიდმა ნაყოფიერმა, თავდადებულმა შრომამ, რომელიც ასე ფართოდ, მიზანსწრაფულად გაჩაღდა საქართველოს ყველა კუთხეში რაც შეიძლება მეტი მოსავლის მისაღებად.

**წელს სახელმწიფოსათვის 300.000 ტონა ყურძნის მიყიდვა თავიდანვე, ვაზის ყვავილობიდანვე გახდა ჩვენი რესპუბლიკის თვითეული მევენახის საბრძოლო ამოცანა.**

რაც უფრო გვიახლოვდება რთველი, მით უფრო ფრთებს ისხამს ჩუმლაყელთა და კლდეეთელთა შესანიშნავი პატრიოტული თაოსნობა. რედაქციაში მოდის სასიხარულო ცნობები, რომ საქართველოს ყველა კუთხეში ჩვენი სახელოვანი მევენახეები კისრულობენ პატრიოტულ ვალდებულებებს—საკარ- [illegible]

... რო ინვენტარი, ყველა აუცილებელი მოწყობილობა, რომ ერთი წუთითაც არ შეფერხდეს ყურძნის კრეფა. როგორ არიან მზად ქარხნები იმისათვის, რომ შეუფერხებლად, თუ საჭირო იქნება, დღედაღამ მიიღონ ყურძენი, როგორც საზოგადოებრივი მეურნეობის ზვრებიდან, ისე საკარმიდამო ნაკვეთებიდან, როგორ არიან უზრუნველყოფილი ეს ქარხნები ღვინის შაქრიანობის დამდგენი ზუსტი ხელსაწყოებით, როგორი გულისხყურით, პრინციპული, პარტიული მიდგომით შეარჩიეს კადრები ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმის კეთილსინდისიერად, უნაკლოდ შესრულებისათვის.

**ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ რთველს** — ეს ნიშნავს ყველგან, ყველა სოფელსა და მეურნეობაში. ერთსულოვანი, საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა ჰპოვოს ჩუმლაყელ და კლდეეთელ მევენახეთა პატრიოტულმა თაოსნობამ. ისე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მაგალითის მიმცემი, მაორგანიზებელი ძალა კომუნისტებია, სოფლის აქტივი — ჩვენი ახალი ადამიანები, რომელთა შრომისა და ცხოვრების ძალა და მიზანი საზოგადოებრივი ინტერესებია, ჩვენი დიადი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება.

**სახელმწიფო მარანში მთლიანად მივიტანოთ საკარმიდამოს ყურძენი!** — ასეთი განწყობილება სუფევს ახლა ყველგან, სადაც ვაზი ხარობს... საჭიროა ამ პატრიოტულ განწყობილებას მივცეთ ფართო გასაქანი, არ დავუშვათ უბრალო შეფერხებაც კი ყურძნის კრეფისა თუ ჩაბარების დროს. ფხიზლად ვადევნოთ თვალყური შაქრიანობის დადგენას, დაუყოვნებლივ ავუნაზღაუროთ საკარმიდამო ნაკვეთიდან ყურძნის ჩამბარებელს მისი ღირებულება, დაყოვნება, ბიუროკრატიული მიდგომა ამ საქმეში უნდა შეფასდეს, როგორც დიდმნიშვნელოვანი [illegible]

---

**წითელწყაროს რაიონი — მეცხოველეთა შეჯიბრების გამარჯვებული**

## მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით

**საუბარი პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივანთან გ. ლოლაძესთან**

[illegible] ... აქვთ, — თქვა „კომუნისტის" თანამშრომელთან საუბარში გ. ლოლაძემ, — ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება პირუტყვის სულადობა, მისი ჯიშობრივი შემადგენლობა, საკვები ბაზა და შესაბამისად — მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ყველაზე აღსანიშნავი კი ის არის, რომ მძიმე შრომას ამ დარგში დღითიდღე ცვლიან მექანიზმები, უმჯობესდება მწყემსთა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობები. სწორედ ამის გამოა, რომ მეცხოველეობაში სამუშაოდ ხალისით მიდიან ქალები, ახალგაზრდები.

მეცხოველეთა შრომა კიდევ უფრო საამაყო და სასახელო გახდა მას შემდეგ, რაც გაჩაღდა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები, კომკავშირელები, ამაღლდა თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის, მას ნამდვილი კანონის ძალა მიეცა. შეჯიბრებაში ჩაბმული ფერმა, ბრიგადა, თვითეული მწველავი ყოველდღიურად, ყოველ დეკადურად ამოწმებს არა მარტო თავისი შრომის შედეგებს, არამედ თავისი შრომითი მეტოქისასაც.

შეჯიბრებას ოპერატიულად, სრული პასუხისმგებლობით ხელმძღვანელობენ პარტიული ორგანიზაციები. ისინი სიტყვიდან ნამდვილ საქმეზე გადავიდნენ. ძირითადად კარგად მოეწყო იმისი თვალსაჩინოება, თუ კონკრეტულად ვის რა აქვს ნაკისრი და როგორ ასრულებს. ეწყობა გამარჯვებულთა პოპულარიზაცია, წახალისება. ადგილობრივი გაზეთის, რადიოს თუ სხვა საშუალებებით რაიონში ყველამ იცის, ვინ არის მოწინავე მწველავი, მეხბორე, მეცხვარე, ვინ გაიმარჯვა, ვინ დამარცხდა.

რაიონის მშრომელებმა დიდი სიხარულით შეიტყეს, რომ ჩვენმა მეცხოველეებმა საკავშირო შეჯიბრებაში გასული წლის მეოთხე კვარტალისა და მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მაჩვენებლების მიხედვით გაიმარჯვეს — ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად და გადამეტებით შეასრულეს. დიდად გაგვახარა ისიც, რომ სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავს ზაირა ალხანიშვილს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

თვითეულ მეურნეობას, ფერმას, ბრიგადას ხელთ აქვს იმის მაჩვენებლები, თუ ვინ რა წვლილი შეიტანა ამ საქმეში. ისიც იციან, რომ რაიონში პირველ ადგილზეა სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობა, რომ სარეკორდო მაჩვენებლები აქვთ ჯაფარიძელ მწველავებს ზაირა ალხანიშვილსა და შუშანა ჩოქურს — ყოველ საფურაქე ძროხაზე თერთმეტ თვეში თვითეულმა 4.000 კილოგრამი რძე მიიღო. გამარჯვებულმა მეხბორემ სერგო ბოლოთაშვილმა მოზარდეულის საშუალო დღეღამისო მატება 822 გრამამდე გაზარდა; ზემომაჩხაანელმა თავჩობანმა ნოდარ ჯანაშვილმა ყოველ ას ნერბზე მიიღო და გაზარდა 102 ბატკანი. ზემოქედელმა მეღორემ ქეთევან ქედელაშვილმა თვითეულ დედაღორზე გაზარდა 12 გოჭი და სხვ.

საკოლმეურნეო პირველადი პარტიული და მისი ძირეული ორგანიზაციების — საამქრო პარტიული ორგანიზაციების და პარტიული ჯგუფების, სამეურნეო ხელმძღვანელებისა და მეცხოველე სპეციალისტების, ამ დარგში დასაქმებული ყველა მშრომელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სოციალისტური შეჯიბრების ამ საანგარიშო პერიოდში თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა საშუალოდ 405 კილოგრამით გაიზარდა; ვალდებულებით გათვალისწინებული 8.373 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 10.164 ტონა რძე. ასევე გადამეტებით შესრულდა ხორცის, მატყლის, კვერცხის და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმა-ვალდებულებები.

ამჯერად მიღწეულზე ლაპარაკი არა ღირს, გასაკეთებელი გაკეთდა და ითქვა კიდეც. ახლა ჩვენი კომუნისტების, კომკავშირელების, ყველა მეცხოველის საზრუნავი ის არის, რომ კარგად მოვემზადოთ ზამთრისათვის. პირველ რიგში საკმარისი რაოდენობით მოვიმარაგოთ საკვები, შევაკეთოთ და დავათბუნოთ ბინები, ფერმები, დავაკომპლექტოთ ბრიგადები საჭირო მუშახელით. ამ საქმის გაკეთება დიდ დროსა და შრომას მოითხოვს. ამიტომ მისი გადადება დაუდევრობა, გულგრილობა, დანაშაულია და ძირშივე უნდა აღმოფხვრან პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიულმა ჯგუფებმა, კომუნისტებმა.

რაც შეეხება საკვებს, ჩვენ იგი საკმარისი რაოდენობით გვაქვს. გათვალისწინებული 12.000 ტონის ნაცვლად დავამზადეთ 20.000 ტონა სილოსი. ასევე დიდი რაოდენობით დავამზადეთ თივა, ნამჯა, სილოსი.

ცხოვრება, მთელი ჩვენი საქმიანობა სწრაფად მიდის წინ და ისე ვერ მიაღწევ მიზანს, თუ მხარი არ აუბი, ფეხი არ აუწყე მოწინავეებს. ბელორუსიის მეცხოველეთა მაგალითზე საჭიროდ ვცანით და წელსვე შევუდგებით პირუტყვის ხელოვნური დათესვლის საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერაციის ჩამოყალიბებას. ჯიშიანი, მაღალპროდუქტიული პირუტყვის გაზრდის მიზნით მოვაწყობთ დეკეულების გასაზრდელ საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებას. საჯიშე მოზარდეულით მოვამარაგებთ როგორც ჩვენი რაიონის, ისე რესპუბლიკის სხვა მეურნეობებს.

მიღწეული თავისთავად გვახარებს, მაგრამ გასაკეთებელი, ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხები, აუთვისებელი რეზერვები იმდენია, რომ უფლება არა გვაქვს ამით დავკმაყოფილდეთ. მომავალში ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, თვითეული კომუნისტის ყურადღებას სწორედ აქეთკენ მოვაპყრობთ. იმ სარეკორდო მაჩვენებლებს, რომლებიც ახლა ცალკეულ მეურნეობებს, ფერმებს, ბრიგადებსა თუ მწველავებს აქვთ, მთელი რაიონის მეცხოველეთა კუთვნილებად გავხდით.

---

**დიდება მოწინავე მეცხოველეებს!**



**სოციალისტური შრომის გმირი ზაირა ალხანიშვილი.**

პორტრეტი შესრულებულია საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის კორნელი სანაძის მიერ.



## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საქართველოს სსრ წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავ ამხ. ზ. მ. ალხანიშვილისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული დიდი წარმატებებისა და 1972-1973 წლების ზამთარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გასადიდებლად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში გამოჩენილი შრომითი მამაცობისათვის საქართველოს სსრ წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავს ამხ. ზაირა მიხეილის ასულ ალხანიშვილს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1973 წლის 6 სექტემბერი.

## დიდი ჯილდო, დიდი მოვალეობა!

ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ ჩემი შრომა დიდად დააფასეს, მომანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. დიდი მადლობა მათ ჩემი შრომის ასეთი დაფასებისათვის, პირობას ვდებ მომავალში უკეთ ვიმუშაო.

ეს ჯილდო რაიონის, ჩვენი კოლმეურნეობის, განსაკუთრებით კი მეცხოველეების ხელშეწყობითა და დახმარებით მივიღე, ამიტომ ისინიც იზიარებენ ჩემს სიხარულს და მინდა ამ ბედნიერ დღეს მათაც მადლობა გადავუხადო.

დაჯილდოება მახარებს, და ამავე დროს დიდი მოვალეობის წინაშე მაყენებს.

როდესაც მეცხოველეთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა, ერთ-ერთი პირველი ჩავები, იმ დღიდანვე დავიწყე ბრძოლა და შრომა წარმატების მოპოვებისათვის. 20 ძროხას ვუვლი, ყოველდღიურად ვზრუნავ მათი მაღალპროდუქტიულობისათვის. გასული წლის მეოთხე კვარტალსა და მიმდინარე წლის რვა თვეში თვითეულ ძროხაზე 4.000 კილოგრამამდე რძე მივიღე.

მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული დარჩენილ ოთხ თვეში ძროხებს ისე მოვუვლი, რომ წველადობამ საგრძნობლად იმატოს და ხუთწლედის მესამე წელი საამაყო მაჩვენებლებით დავამთავრო.

ერთხელ კიდევ მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტიას, მთავრობას, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ჩემი შრომის ღირსეულად დაფასებისათვის.

**ზაირა ალხანიშვილი,**
წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი.

---




**ჩვენი წვლილიც იქნება**

**300 ათასი** ტონა ყურძნისათვის ლაშქრობაში კლდეეთელთა და ჩუმლაყელთა მაგალითით ნამდვილ პატრიოტიზმს იჩენენ არგვეთის (ზესტაფონის რაიონი) მშრომლები. მოწინავე მევენახეებმა რ. კობახიძემ, ლ. გუკვაძემ, ნ. ღლაძემ ვალდებულება იკისრეს წელს საკარმიდამოდან საზოგადოებრივ მარანში მიიტანონ **ხუთ-ხუთი ტონა ყურძენი.** ჩვენც არ ჩამოვრჩებით მათ.

პირველ აგროგანყოფილებაში ვმუშაობთ, მოსავლელად გვაქვს თითო ჰექტარი ვენახი, საიდანაც სულ მცირე რვა-რვა ტონა ყურძენს მოველით. წელს კარგ მოსავალს ველით საკარმიდა- [illegible]

## ეკონომიკის შემსწავლელთათვის

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა მთელი რიგი ბროშურები კომუნისტური შრომის სკოლებში ეკონომიკის შემსწავლელთა დასახმარებლად. ერთ-ერთი მათგანი „შრომის ნაყოფიერება: გადიდების გზები და სტიმულები" დაწერა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკმა ვ. კ. მოსკალენკომ. ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკის ვ. მ. ივანჩენკოს ბროშურაში „რეფორმა და საწარმო" ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ იგეგმება და ფასდება საწარმოთა საქმიანობა, როგორია მათი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი ახალ პირობებში. ამავე სერიით გამოვიდა მ. თ. მაკაროვას ბროშურა „საზოგადოებრივი წარმოება და სახალხო მოხმარება სოციალიზმის დროს". ყველა ეს გამოცემა შეიძლება გამოიყენონ ეკონომიური სწავლების სისტემის სხვა რგოლებშიც.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელთათვის განკუთვნილია ბროშურა „სოფლის რაიკომი და ეკონომიკა". ბროშურაში გაშუქებულია იმიერკარპატის ოლქის ირშავის რაიონის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში კომუნისტთა აქტივობის გასაძლიერებლად.

ახლად გამოიცა წიგნი „კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია კითხვა-პასუხებში". იგი შედგენილია პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მასალებით. (საქდესი).

## საზეიმო კრება მოსკოვში

6 სექტემბერს მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში, რათა ზეიმით აღენიშნათ ღირსშესანიშნავი მოვლენა მოძმე ბულგარელი ხალხის ცხოვრებაში — ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 29 წლისთავი.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი და სხვა ოფიციალური პირნი.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ა. რაპოხინმა.

ელჩმა დიმიტრი ჟულევმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ 1944 წლის 9 სექტემბერს ბულგარელი ხალხის გამარჯვება შესაძლებელი გახდა დიდი ოქტომბრის მიერ ნაჩვენები მაგალითის შედეგად, იმ გამოცდილების შედეგად, რომელსაც ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას უზიარებდა ყველა დროის უდიდესი რევოლუციური ძალა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

ერთხელ კიდევ ვაცხადებთ, რომ კვლავაც მტკიცედ და განუხრელად ვივლით არჩეული გზით — ლენინურ პარტიასთან, დიდ საბჭოთა კავშირთან ერთად მარადიული, კრისტალურად წმინდა და ურღვევი მეგობრობის გზით. (საკდესი).

## მიფრინავს „კოსმოს-584"

**1973 წლის** 6 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-584".

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

**ჩვენს დიად სამშობლოში**

## ტანკისტის დღის აღსანიშნავად

7 სექტემბერს თბილისის ოფიცერთა სახლში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა და თბილისის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების კრება. იგი მიეძღვნა ტანკისტთა დღესასწაულს, რომელიც 9 სექტემბერს იმართება ტანკისტი მეომრების თვალსაჩინო მხედრული გმირობისა და სამშობლოს წინაშე საბჭოთა ტანკმშენებლების დამსახურების აღსანიშნავად.

პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი პ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ს. რიგვავა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ი. იურპოლსკი, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები, სამხედრო ოლქის შტაბისა და პოლიტსამმართველოს თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. ჯანელიძემ.

სრულდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება ტანკისტის დღის შესახებ გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯავშანსატანკო სამსახურის უფროსმა, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორმა მ. კოსტიანოიმ. მან ილაპარაკა სატანკო ჯარების სახელოვანი საბრძოლო გზის, დიდი სამამულო ომის უმნიშვნელოვანეს ოპერაციებში მათი თვალსაჩინო როლის შესახებ. შეეხო რა ამიერკავკასიის ტანკისტთა წარმატებებს ომისშემდგომ წლებში, გენერალმა აღნიშნა, რომ ოლქის სატანკო ნაწილებში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის ფრიადზე ცოდნისა და საგულდაგულოდ გაფრთხილებისათვის, ამ ტექნიკის ოსტატურად დაუფლებისათვის. (საქინფორმი).

## მოძმე ხალხის დღესასწაული

7 სექტემბერს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სახლში გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ბულგარეთში ფაშისტური დიქტატურის დამხობის 29 წლისთავს — ბულგარელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — თავისუფლების დღეს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებების, სასწავლებლების, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების აქტივისტები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ს. რიგვავამ.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ი. ურუშაძემ.

პროფესორმა ა. შეროზიამ, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშამ ლ. ნადიბაიძემ, 34-ე საშუალო სკოლის დირექტორმა დ. კოკიანოვამ გულითადად მიულოცეს ბულგარეთის მშრომელებს ეროვნული დღესასწაული და უსურვეს მათ ახალი დიდი გამარჯვებანი სოციალიზმის მშენებლობაში.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს სოფიაში ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტსა და მოსკოვში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს. (საქინფორმი).

**ხუთწლედი — ვადამდე!**



## ქიმიკოსთა ნობათი

რუსთავი. (საკ. კორ.). ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების აგვისტოს გეგმა 100,2 პროცენტით გაანაღდა, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 103 პროცენტით. დავალების გადამეტებით წარმოებულია 110 ათასი მანეთის პროდუქცია — ძირითადად ხელოვნური ბოჭკო, რომელზეც დიდ მოთხოვნილებას აყენებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა.

განსაკუთრებით მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ გ. ქარჩავა, ვ. რიჟოვა, ც. ჯიქია და სხვები. თვითეული მათგანი 36 თითისტარის ნაცვლად 72 თითისტარს ემსახურება.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: დაინიშნოს ამხ. მამია ამბერკის-ძე მეგრელიშვილი საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 7 სექტემბერი.

# პარტიული ცხოვრება

პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის შედეგები და ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების ეფექტურობის გადიდების საქმეში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროების ხელმძღვანელებმა.

როგორც მომხსენებელმა — საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ხაბეიშვილმა, ასევე კამათის მონაწილეებმა — საავტომობილო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა თ. გენძეხაძემ, ლითოფონის ქარხნის მუშამ ზ. სახვლაშვილმა, № 1 სამკერვალო საწარმოო გაერთიანების სათაო წარმოების პარტიული კომიტეტის მდივანმა მ. ქანდარიამ, საკონსერვო ქარხნის დირექტორმა ზ. გუმბარიძემ, ტყავფეხსაცმლის კომბინატის პარტბიუროს მდივანმა დ. წერეთელმა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა ა. ხუროძემ, სახლმშენებელი კომბინატის დირექტორმა რ. ბეჟუაშვილმა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა გ. გამცემლიძემ და სხვებმა ვრცლად ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეათე პლენუმის გადაწყვეტილებათა დიდ მნიშვნელობაზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მიღწევის საქმეში.

პლენუმზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს ქალაქის პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ყველა რგოლში დისციპლინის განმტკიცებისათვის, ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის. ახორციელებს რა პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, ქუთაისის მრეწველობამ მიმდინარე წლის 8 თვის დავალება ვადამდე — 25 აგვისტოსათვის შეასრულა. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 104,2 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 104,6 პროცენტით იქნა განაღდებული. წარმოების მოცულობა 8,8 პროცენტით გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

სახელმწიფო დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებით ქალაქის საერთო წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგანან საავტომობილო, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების, ლითოფონის, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნების, აბრეშუმის საწარმოო და „გელათის" სამკერვალო გაერთიანებების, სახლმშენებელი კომბინატის კოლექტივები. მუშაობა გააუმჯობესეს და ჩამორჩენას თავი დააღწიეს ბამბეულის საქსოვი გაერთიანების, ელექტრომექანიკური ქარხნის, ტყავ-ფეხსაცმლის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომბინატების კოლექტივებმა. გარკვეული წარმატებები მოიპოვეს მშენებლებმა, რომლებმაც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 115,9 პროცენტით შეასრულეს. ქალაქის მოსახლეობამ მიიღო 19.066 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად 10.516 კვადრატული მეტრისა. მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებმა, რკინიგზის ქუთაისის სადგურებმა და აეროპორტმა.

პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების შედეგად სოციალისტურმა შეჯიბრებამ წელს უფრო ფართო გაქანება და ქმედითი ხასიათი მიიღო. ამ საქმეს ხელი შეუწყო შეჯიბრების შედეგების ყოველდღიურმა შეჯამებამ, სოცშეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის კომისიათა ნაყოფიერმა მუშაობამ, ქალაქის შრომით კოლექტივებში შეიქმნა კეთილსასურველი პირობები ახალი ძიების, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებისა და ინიციატივის გავრცელებისათვის.

ქალაქის მშრომელები გამოვიდნენ ინიციატივით ფართოდ გაშალონ შეჯიბრება იმისათვის, რომ 1974-75 წლებში 45 მილიონი მანეთით გადიდონ საგეგმო დავალებანი. ეს პატრიოტული თაოსნობა მოიწონა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ.

საქალაქო კომიტეტის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული დოკუმენტების გამოცვლა კომუნისტთა მზარდი აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს. კიდევ უფრო ამაღლდა პარტიის თვითეული წევრის შემოქმედებითი ინიციატივა და დისციპლინა, განმტკიცდა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, გაძლიერდა ზრუნვა პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, გაძლიერდა სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა.

პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არსებული ნაკლოვანებების კრიტიკას. აღინიშნა, რომ ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ ქმნიან შრომით კოლექტივებში მაღალი პრინციპულობისა და ურთიერთმომთხოვნელობის ვითარებას, გადამჭრელ ღონისძიებებს არ ახორციელებენ სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის განმტკიცებისათვის; რის შედეგადაც ნელი ტემპით სწორდება ადრე დაშვებული ხარვეზები. პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის 7 თვის სახელმწიფო გეგმები ვერ შეასრულეს ადგილობრივი მრეწველობის საგალანტერიო ფაბრიკამ და რკინა-ბეტონის ნაკეთობათა პოლიგონმა. ხუთწლედის განვლილი ორწელიწადნახევრის მანძილზე მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვს მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებს, რომლებმაც სამშობლოს დააკლეს მილიონობით მანეთის პროდუქცია. წარმოების მოცულობა შემცირდა ქალაქის ორ საწარმოში, ხოლო ნომენკლატურის გეგმა ჩაიშალა 18 საწარმოში. მიმდინარე წლის 7 თვეში შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება ვერ შეასრულეს ენგურჰესის მშენებლობის საწარმოო კომბინატმა, რკინაბეტონის ნაკეთობათა პოლიგონმა, საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხანამ, საგალანტერიო ფაბრიკამ და სასწავლო საწარმომ. 6 საწარმო ჩამორჩა წარმოების ზრდის ტემპში. ზოგან საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

## კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით

### საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, აგრეთვე ეკონომიური მუშაობის სუსტად დანერგვის შედეგად რძისა და ხაშინ მასალათა კომბინატების, პირველი სამკერვალო და ბამბეულის საქსოვი გაერთიანებების, ტრიკოტაჟისა და საგალანტერიო ფაბრიკების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისა და წყალგაყვანტრესტის კოლექტივებმა ვერ შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მოგების გეგმა, ხოლო საკონსერვო ქარხანამ მოგების ნაცვლად იზარალა 324 ათასი მანეთი.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანია მანქანებისა და მოწყობილობათა ეფექტიანი გამოყენების საქმეში. ქალაქის საწარმოთა უმრავლესობაში დაზგა-დანადგარების გამოყენება 70-80 პროცენტს აღწევს, ხოლო მათი ნაყოფიერება გაცილებით დაბალია საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე. ჯერ კიდევ არ იგრძნობა გარდატეხა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, მიმდინარე წლის 6 თვეში მიღებულია 403 რეკლამაცია და გადახდილმა ჯარიმებმა 167.000 მანეთი შეადგინა. 800 დასახელების პროდუქციიდან მხოლოდ ორ სახეობას აქვს მინიჭებული ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

დიდი ყურადღება დაეთმო მშენებელთა და ტრანსპორტის ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. აღინიშნა ისიც, რომ ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება და ვერ უპასუხებს პარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნებს.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი თვითდინება, კაზიონშჩინა და ფორმალიზმი. სათანადო შეფასება არ ეძლევა მატერიალური და მორალური სტიმულების სწორად შეხამებას. ბევრი კარგი თაოსნობა განმტკიცებული არ არის ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობით. ზოგიერთმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ გარდაქმნა მუშაობა პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ როდი მიაღწია იმას, რომ თვითეული კომუნისტი ვანუხრელად ასრულებდეს წესდების მოთხოვნებს, საქმით განამტკიცებდეს თავის ავანგარდულ როლს წარმოებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იძლეოდეს საბჭოთა კანონიერებისა და კომუნისტური ზნეობის ნორმების დაცვის მაგალითებს.

მიღებულ დადგენილებაში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაციები უფრო მაღლა ასწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას, სრულყოფენ მის ფორმებსა და მეთოდებს, ფართოდ დანერგავენ მოწინავეთა გამოცდილებას, თვითეულ მშრომელს ჩაუნერგავენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გრძნობას, მთელი ძალით იბრძოლებენ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# სახალხო კონტროლიორთა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე შეჯამდა 1973 წლის პირველი ნახევრის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შედეგები, განხილული იყო პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წლის სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი. პლენუმის სულისკვეთებით, საქმიანობითა და პრინციპულობით, კრიტიკული სიმწვავით, კადრებისა, და უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელებისადმი მაღალი მომთხოვნელობით იყო გამსჭვალული საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების აქტივის კრება, რომელიც 5 სექტემბერს გაიმართა. კრებაზე მიმდინარეობდა დიდი სჯა-ბაასი მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის, სახალხო კონტროლის კოლექტივების, ჯგუფებისა და საგუშაგოების, ყველა რგოლის ორგანიზაციული განმტკიცების, იმ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივი აღმოფხვრისათვის მათი დარაზმვის შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან სახელმწიფო გეგმებისა და მშრომელთა ვალდებულებების შესრულებას.

მოხსენება „სახალხო კონტროლის ორგანოების ამოცანები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის" გააკეთა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კვარაცხელიამ.

სახალხო კონტროლის ორგანოებმა, თქვა მომხსენებელმა, ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, ყველა უბანზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებებით, მთელი რიგი სასარგებლო ღონისძიებანი განახორციელეს, რათა პარტიული და საბჭოთა ორგანოებისათვის ქმედითი დახმარება გაეწიათ სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად.

ამასთან სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობას ახასიათებს სერიოზული ხარვეზებიც.

სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ამისათვის პასუხს აგებენ სამინისტროები, უწყებები, საწარმოებისა და დაწესებულებების სახალხო კონტროლის ჯგუფებიც და სახალხო კონტროლის შესაბამისი კომიტეტებიც.

სახალხო კონტროლის ბევრი კომიტეტი, ჯგუფი და საგუშაგო ვერ მუშაობდა მთელი ძალით, ვერ უზრუნველყვეს ქმედითი მიზანმიმართული კონტროლი სამეურნეო ორგანოების მუშაობისადმი, სახელმწიფო გეგმებისა და კოლექტივების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი, ვერ მიაღწიეს საკონტროლო მუშაობის მაქსიმალურ ეფექტიანობას. ეს ეხება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ ტყვარჩელის, გუდაუთის, გარდაბნის რაიონების, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქისა და რაიონის სახალხო კონტროლის ზოგიერთ ორგანოს.

სახალხო კონტროლის ორგანოების მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს ქმედითი და სისტემატური კონტროლი ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი, ბრძოლა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სამშენებლო სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, კაპიტალურ და საბინაო მშენებლობაში სახსრების ეფექტიანი გამოყენებისათვის, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვისათვის, წარმოების რეზერვების ძიებისათვის. სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკებმა დღენიადაგ უნდა იბრძოლონ მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების ძირეული გაუმჯობესებისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, გაფლანგვის, დატაცების, მექრთამეობისა და კომუნისტური მორალის სხვა ანტიპოდების წინააღმდეგ.

როგორც მოხსენებაში და აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნ. ბორიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის უ. ხანიკაევის, აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გ. ცანავას, ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ჯ. ახმეტელის, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის კ. ლომთათიძის და სხვათა გამოსვლებში აღინიშნა, მთავარი ამოცანაა თვითეული კომიტეტის ჯგუფისა და საგუშაგოს მუშაობის ქმედითობისა და ეფექტიანობის ამაღლება, მასებთან კავშირის განმტკიცება, საერთო სახელმწიფო მიდგომა საქმისადმი, პრინციპულობა და შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი, სიმტკიცე ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

თათბირზე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანიზაციული განყოფილების გამგემ ნ. აკაბამ გააკეთა მოხსენება „სახალხო კონტროლის ორგანოების ამოცანები სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის".

სახალხო კონტროლის ორგანოების ამოცანებზე ილაპარაკა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ორგანიზაციული განყოფილების გამგემ ა. ტუჟიკოვმა.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. გიგიბერიამ. (საქინფორმი).

# მსოფლიო დღეს

## ამერიკელთა უმრავლესობის აზრი

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის პრესა, ქვეყნის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი კვლავ ფართოდ იხილავენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის, სხვადასხვა სფეროში საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

ისახება ფართო შესაძლებლობანი საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობისათვის ვაჭრობის, ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლის დარგში პოზიტიური, მყარი და რეალისტური პროგრამების ბაზაზე, განაცხადა ცნობილმა მრეწველმა ე. ლიმმა.

წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა პ. ფრელინგჰაიზენმა ჟურნალ „ნეიშენ ბიზნესში" გამოქვეყნებულ სტატიაში ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა გამოიყენოს დასახული შესაძლებლობანი სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისათვის და აღმოფხვრას ის არსებული დისკრიმინაციული შეზღუდვები, რომლებიც მის განვითარებას აფერხებს.

ბრიჯპორტის უნივერსიტეტის პროფესორი გ. პარსონსი ჟურნალ „ნიუ-ლიდერ რევიუში" გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში ფეხს იკიდებს რეალისტური ტენდენციები. პროფესორის აზრით, იმ სფეროების უმაღლეს ჩამოთვლაც კი, რომლებშიც მიღწეულია შეთანხმება ორ ქვეყანას შორის, უკვე თავისთავად მოწმობს დიდ ცვლილებებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში. ეს შეთანხმებანი ხომ ისეთ საკითხებს ეხება, როგორიცაა ატომური ომის თავიდან აცილება, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა, ვაჭრობის გაფართოება, გარემოს დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა და თანამშრომლობა ბევრ სხვა დიდმნიშვნელოვან დარგში.

როგორც ამერიკის პრესა მოწმობს, ამგვარი გამოსვლები ასახავენ ამერიკელთა უმრავლესობის აზრს.

## სასარგებლო ვიზიტი

ტოკიო, 7 სექტემბერი. (საკდესი). იაპონელ პარლამენტართა დელეგაციის ვიზიტმა საბჭოთა კავშირში ხელი შეუწყო ორი ქვეყნის მეგობრული ატმოსფეროს შემდგომ განვითარებას. იგი ხელსაყრელ გავლენას მოახდენს პრემიერ-მინისტრ კ. ტანაკას სსრ კავშირში მომავალ მოგზაურობაზე, განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა, თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ ქ. ისიდამ.

იაპონიის პარლამენტის იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის დელეგაცია საბჭოთა კავშირში იყო სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მიწვევით.

იაპონური გაზეთების მოსკოველ კორესპონდენტთა საუბარში, რომელიც დღეს ქვეყნდება პრესაში, ქ. ისიდამ და დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ კ. ცუძიკარამ ხაზი გაუსვეს გულთბილ მიღებას, რომელიც იაპონელ პარლამენტარებს გაუწიეს საბჭოთა კავშირში. გულწრფელი შეხვედრები საბჭოთა ადამიანებთან საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ადგილებში, თქვა, კერძოდ, კ. ცუძიკარამ, მნიშვნელოვან წილად ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას.

დელეგაციის ხელმძღვანელებმა ხაზი გაუსვეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იაპონია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებას.

## არღვევენ შეთანხმებას

ჰანოი, 6 სექტემბერი. (საკდესი). როგორც განთავისუფლების პრესის სააგენტო იუწყება, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის სამხედრო დელეგაციამ ორმხრივ გაერთიანებულ სამხედრო კომისიაში ნოტა გაუგზავნა საკონტროლო და სამეთვალყურეო საერთაშორისო კომისიას, რომელშიც მოითხოვს გამოიძიონ პარიზის შეთანხმების დარღვევანი, რასაც საიგონის ადმინისტრაცია მიმართავს.

ნოტაში აღნიშნულია, რომ საიგონის ადმინისტრაციამ დაბომბა და არტილერიის ცეცხლი დაუშინა რაიონებს, რომლებსაც კონტროლს უწევს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა ბიენჰოის ტეინინის პროვინციებში. საიგონის მხარის ასეთი მოქმედება, ხაზგასმულია ნოტაში, უხეშად არღვევს პარიზის შეთანხმების მე-2 და მე-3 მუხლებს და 1973 წლის 13 ივნისის ერთობლივი კომუნიკეს მე-3 და მე-4 მუხლებს.

## ქოლერა იტალიაში

რომი, 7 სექტემბერი. (საკდესი). ქოლერით დაავადების შედეგად სიკვდილის შემთხვევების რიცხვი იტალიაში ოცამდე გაიზარდა. გარდა ნეაპოლისა და ბარისა, დაავადება აღირიცხა აგრეთვე მილანში, ბოლონიაში და სარდინიის კუნძულზე. ხელისუფალნი მიმართავენ ახალ ღონისძიებებს ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად. 500-ზე მეტი პოლიციელი გუშინ კატარღებით შევიდა ზღვაში ნეაპოლის მახლობლად და გაანადგურა ათიათასობით ცენტნერი ხელოვნურად მოშენებული ზღვის მოლუსკები, რომლებიც, სპეციალისტთა აზრით, ქოლერის ვიბრიონის მთავარი გამავრცელებლები იყვნენ.

ნეაპოლში პროფილაქტიკური ღონისძიებების სახით ჰოსპიტალიზებულია ხუთასზე მეტი კაცი.

## ჩილეს ამბები

> □ მთავრობის ღონისძიებანი
> □ რეაქცია არ ცხრება

სანტიაგო, 7 სექტემბერი. (საკდესი). ჩილეს მთავრობამ მიიღო იმ სიძნელეთა ლიკვიდაციის სპეციალური გეგმა, რომლებიც წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ უკვე მეექვსე კვირაა გრძელდება სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების უკანონო გაფიცვა. მთავრობის ორგანიზაციები მალე შეუდგებიან დიდძალი სატვირთო ავტომობილების, ავტობუსებისა და მსუბუქი ტაქსების განაწილებას მძღოლთა შორის, რომლებმაც განაცხადეს, რომ მზად არიან დაუყოვნებლივ განაახლონ მუშაობა.

სახალხო მთავრობის ღონისძიებათა მეოხებით მოგვარებულია კონფლიქტები სამედიცინო მუშაკთა და მოსამსახურეთა მთელ რიგ ორგანიზაციებთან.

მიუხედავად ამისა ოპოზიციის რეაქციული წრეები და, პირველ რიგში, ულტრამემარჯვენე ეროვნული პარტია ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არ დაუშვან ქვეყანაში ვითარების ნორმალიზაცია. ეროვნული პარტიის ლიდერებმა თავიანთ მომხრეებს მოუწოდეს მოაწყონ მასობრივი საბოტაჟი, „რათა აიძულონ პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე და მისი მთავრობა გადადგნენ". კვლავ გაახანგრძლივეს ვაჭართა უკანონო გაფიცვა. არ წყდება ფაშისტური ბანდების ტერორისტული აქტები. უშიშროების ორგანოებმა გამოავლინეს მთელი რიგი პროვოკაციების გეგმები, რომელთა განხორციელებას რეაქციული ძალები აპირებდნენ ამ კვირის დამლევს.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მთავრობის საწინააღმდეგო მემარჯვენეთა მოქმედება „მარტო პრეზიდენტს როდი ხელყოფს. ეს არის ჩილეს, მისი ხალხის ხელყოფა".

სანტიაგო. (საკდესი). ჩილეს ულტრამემარჯვენულ ორგანიზაციათა წევრი არამზადების ჯგუფებმა პროვოკაციულად გამოიწვიეს არეულობა ჩილეს დედაქალაქის ცენტრში. მათ დაიწყეს ბარიკადების აგება, ამტვრევდნენ მიმავალ ავტომანქანებს. საჭირო გახდა კარაბინერთა ჩარევა ხულიგნების ასალაგმად და წესრიგის აღსადგენად. უკანასკნელი დღეების მანძილზე ქვეყანაში მოხდა 27 დივერსია და ბანდიტური თავდასხმა სატვირთო მანქანების მძღოლებზე, რომლებიც უარს ამბობენ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების უკანონო გაფიცვაში მონაწილეობაზე.

ტერორისტულ მეთოდებთან ერთად ოპოზიცია კვლავ აპირებს გამოიყენოს თავისი შედარებითი უმრავლესობა ეროვნულ კონგრესში და სცადოს მთავრობის საქმიანობის ბლოკირება.

რეაქციული ძალების ხრიკების, ოპოზიციური პარტიების ქალთა ორგანიზაციების წევრების თავყრილობის პასუხი იყო მრავალათასიანი მიტინგი ქალებისა, რომლებიც სახალხო მთავრობას უჭერენ მხარს. პრეზიდენტის სასახლის წინ შეკრებილმა მიტინგის მონაწილე ქალებმა განაცხადეს, რომ სავსებით უჭერენ მხარს მთავრობასა და პრეზიდენტ ს. ალიენდეს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი იღონონ, რათა არ დაუშვან სამოქალაქო ომის დაწყება ქვეყანაში.

## მშრომელთა ინტერესების საზიანოდ

ნიუ-იორკი. 7 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გეს ჰოლმა გაზეთ „დეილი უორლდისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკელი მშრომელები ყოველდღიურად აწყდებიან მწვავე ეკონომიურ კრიზისს, დიდ გაჭირვებასა და სიძნელეებს, რომლებიც გამოიწვია შეუკავებელმა ინფლაციამ.

მილიონობით ამერიკელის მდგომარეობა გაუარესდება, რადგან ბოლო არ უჩანს ფასების, ბინის ქირისა და გადასახადების ზრდის ტენდენციას. „უკვე ახლა, — თქვა გეს ჰოლმა, — ინფლაციის გამო მშრომელთა ცხოვრების დონე საერთოდ 20-25 პროცენტით შემცირდა".

„ინფლაციის გამო სურსათ-სანოვაგისა და ტანსაცმლის ყიდვა, მკურნალობა პრობლემა გახდა ამერიკელებისათვის. სურსათის გაძვირებას მშრომელთა ოჯახებში მოჰყვა შიმშილობა. ამავე დროს კორპორაციებმა 36 პროცენტით გაზარდეს თავიანთი მოგება".

გეს ჰოლმა ხაზი გაუსვა პრინციპულ განსხვავებას კაპიტალისტური ქვეყნებისა და სოციალიზმის ქვეყნების მდგომარეობაში. კაპიტალისტურ ქვეყნებში ინფლაცია წესია, სოციალისტურ ქვეყნებში კი ხორციელდება კონტროლი ფასებისადმი, როგორც ერთ-ერთი მეთოდი იმათგან, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას.

კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, დასასრულ, ამერიკელთა ფართო მასებს მოუწოდა გააძლიერონ ბრძოლა თავიანთი საარსებო უფლებების დასაცავად და გააფართოონ ამ ბრძოლის ორგანიზაციული ფორმები. საჭიროა საერთო-ეროვნული კამპანია საგანგებო საფუძველზე მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მონოპოლიების წინააღმდეგ, განაცხადა მან.

## დელეგაციის ჩასვლა

ფხენიანი. 7 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავის ზეიმში მონაწილეობისათვის ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ტ. ნოვიკოვი.

აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის მოადგილე ცოი ჯე უ და სხვა ოფიციალური პირნი.

## საზოლოო რეისი

პრაღა. 7 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი მ. აბელევი გვატყობინებს: „ჩეხოსლოვაკიის ავიახაზების" მუშაკებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყეს „ტუ-104-ა" თვითმფრინავს, როცა იგი დაეშვა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის რუზინის აეროდრომზე და დაამთავრა გადაფრენა კიევ-პრაღის რეგულარული ტრასით.

ეს რეისი ლაინერისათვის, რომლის ფუზელაჟზე გამოყვანილია ასოები „ოკ-ლდა", უჩვეულო იყო. ამით მან დაამთავრა თავისი 16 წლის „კარიერა" — ჰაერში გაატარა 20 ათას საათზე მეტი.

### კაპიტალის ქვეყნებში



დასავლეთი ბერლინი. მოხუცი მეარღნე მცირეოდენი საშოვრის მოლოდინში დგას ქალაქის ყველაზე ფეშენებელურ ქუჩაზე, მის მთავარ მაგისტრალზე — კურფიურსტენდამზე.
ე. ბამმაჩნიკოვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

## უარი ვიზის მიცემაზე...

პარიზი, 6 სექტემბერი. (საკდესი). ჩინეთის ხელისუფლებმა ჩინეთში ჩასვლის ვიზის მიცემაზე უარი უთხრეს გაზეთ „ლუმანიტეს" კორესპონდენტს, რომელსაც სხვა ფრანგ ჟურნალისტებთან ერთად უნდა გაეშუქებინა პრეზიდენტ ჟ. პომპიდუს მომავალი ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

პრეზიდენტის პრესის ასოციაციის ბიურო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ 80 ფრანგი ჟურნალისტიდან, რომლებიც ჩინეთში გაემგზავრნენ, მხოლოდ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს წარმომადგენელს უარი ეთქვა ვიზაზე, და სინანულს გამოთქვამს ამ დისკრიმინაციული ღონისძიების გამო.

## კოსმოსურ ლაბორატორიაში

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის კოსმოსური ორბიტული სადგურის „სკაილების" ეკიპაჟმა მეცნიერთა თხოვნით გააფართოვა მზეზე დაკვირვების პროგრამა. ასეთი თხოვნა იმით იყო გამოწვეული, რომ ამ ბოლო კვირაში მზის აქტივობა გაიზარდა მეცნიერთა პროგნოზების საწინააღმდეგოდ. ახლა მთელი სამუშაო დღის მანძილზე კოსმოსური ასტრონომიული ხელსაწყოების კომპლექსის მართვის პულტთან განუწყვეტლივ მორიგეობს ერთ-ერთი კოსმონავტი.

კოსმოსის მკვლევარებმა აღრიცხეს რამდენიმე დიდი აფეთქება მზეზე. მათ ფოტოსურათები გადაუღეს ამ აფეთქებათა განვითარებას მათი ჩასახვის მომენტიდან, როგორც მეცნიერებს მიაჩნიათ, „სკაილებზე" მიღებულ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ექნებათ მზის აქტივობის განჭვრეტის მეთოდიკის გაუმჯობესებისათვის.

მარტო ერთი, გუშინდელი დღის განმავლობაში კოსმონავტებმა მოახერხეს დაკვირვებოდნენ პოლარულ ნათებას, როგორც დედამიწის სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ნაწილში. მათ ფოტოსურათი გადაუღეს ამ მოვლენას, რომელიც გამოწვეულია დედამიწის მაგნიტოსფეროსთან აქტიური მზის გამოსხივების ზემოქმედებით.

გრძელდება დედამიწის კვლევაც, თუმცა ეს პროგრამა რამდენადმე შემცირებული იყო, რათა კოსმონავტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ მეტი ყურადღება დაეთმოთ მზის ფოტოსურათების გადაღებისათვის. კერძოდ, „სკაილების" ეკიპაჟი აკვირდებოდა ტროპიკულ შტორმს „დელიას", რომელიც ნაწილობრივ მოედო ჰიუსტონს, სადაც კოსმონავტთა ოჯახები ცხოვრობენ. როგორც დედამიწიდან კოსმონავტებს აცნობეს, შტორმის შედეგად მათი სახლები არ დაზარალებულა, წყლის დონემ კი ქალაქში კლება დაიწყო.

## ტელეტაიპის ლენტიდან

პარიზი. დღეს პარიზიდან გაურკვეველი მიმართულებით გაფრინდა შეიარაღებულ უცნობთა ჯგუფი, რომელმაც გუშინ ხელთ იგდო საუდის არაბეთის საელჩო. სირიის ავიაკომპანიის თვითმფრინავში, რომელიც თავდამსხმელებს მიეცათ მათი მოთხოვნით, იყო აგრეთვე საელჩოს შენობიდან მძევლად წაყვანილთა ნაწილი.

ნიუ-იორკი. საოლქო პროკურორმა ჯიმ ჰარისონმა, რომლის წინააღმდეგ ახალ ორლეანში დაიწყო სასამართლო საქმე, უარყო წაყენებული ბრალდება — „მექრთამეობა" და „არალეგალური სამორინო ბიზნესის მფარველობა".

ჰარისონმა წინათ განაცხადა, რომ ხელისუფალნი სასამართლოს დახმარებით ცდილობენ „მასთან ანგარიშის გასწორებას" იმისათვის, რომ თავის დროზე საკუთარი ინიციატივით დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის მკვლელობის გარემოებათა სასამართლო გამოძიება.

## ჟურნალისტთა საერთაშორისო სოლიდარობა

8 სექტემბერს მსოფლიოს პროგრესული პრესის მუშაკები აღნიშნავენ ჟურნალისტთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს. იგი დაწესდა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის IV კონგრესზე 1958 წელს ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ეროვნული გმირის იულიუს ფუჩიკის ხსოვნის აღსანიშნავად. წელს სოლიდარობის საერთაშორისო დღე ემთხვევა იულიუს ფუჩიკის დაღუპვის 30-ე წლისთავს. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია ბერლინში აწყობს საზეიმო სხდომას, რომელსაც მრავალი ქვეყნის დელეგაციები დაესწრებიან.

წელს ჟურნალისტთა სოლიდარობის დღე აღინიშნება საერთაშორისო დაძაბულობის მნიშვნელოვანი შენელების ვითარებაში. მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ჟურნალისტები მხურვალედ მიესალმებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თვალსაჩინო წვლილს მშვიდობის საქმეში.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია ახლა თავის რიგებში აერთიანებს 108 ქვეყნის 150 ათასზე მეტ წევრს, უთხრეს საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირში.

სექტემბრის დამლევს ბაღდადში გაიმართება ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასკომის სხდომა. დაისახება ჟურნალისტთა საზოგადოებრიობის ძალების შემდგომი აქტივიზაციის გზები.

## პრეზიდენტის ვეტო

ვაშინგტონი, 7 სექტემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა ვეტო დაადო კონგრესის მიერ მიღებულ კანონპროექტს ხელფასის მინიმუმის მომატების შესახებ. წარმომადგენელთა პალატისათვის გაგზავნილ წერილში პრეზიდენტი ამტკიცებს, თითქოს ეს ღონისძიება „ხელს შეუწყობს ინფლაციასა და უმუშევრობის გადიდებას".

ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელფასის მინიმალური დონე უკანასკნელად 1968 წლის თებერვალში ამაღლდა. განუწყვეტელი ინფლაციის პირობებში ეს დონე, ამერიკის პრესის თქმით, უკვე „მინიმალური" კი არა, არამედ „უმცირესია".

თავის წერილში პრეზიდენტმა აღიარა, რომ კონგრესის მიერ მოწონებული კანონპროექტი მიზნად ისახავდა „იმ მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას, რომელთა მინიმალური ხელფასი არ შეცვლილა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, მაშინ როცა მზარდმა ფასებმა სერიოზულად შეამცირეს იმათი მყიდველობითი უნარი, ვინც მინიმალურ ხელფასს იღებს თავისი შრომისათვის.

ამერიკის შრომის ფედერაციის — პროფკავშირთა საწარმოო კონგრესის პროფკავშირულმა გაერთიანებამ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პრეზიდენტის ვეტო „ლახვარს სცემს ყველაზე მცირე ხელფასიან ამერიკელ მშრომელთა მდგომარეობას". სწორედ მათზე ახდენს უმძიმეს გავლენას ინფლაცია, ყველა საქონლის სწრაფად მზარდი ფასები, განუწყვეტლივ მზარდი ბინის ქირა. მთავრობა ვერავითარ ეფექტიან ღონისძიებებს ვერ მიმართავს სიძვირის შესაჩერებლად, აღნიშნულია ამერიკის შრომის ფედერაციის — პროფკავშირთა საწარმოო კონგრესის განცხადებაში.

□ □

## იზრდება უმუშევრობა

სტოკჰოლმი. 7 სექტემბერი. (საკდესი). 22 ათასით გაიზარდა უმუშევართა რიცხვი ამ უკანასკნელი თვის მანძილზე შვეციაში. როგორც ცენტრალური სტატისტიკური ბიურო იუწყება, აგვისტოში ქვეყანაში იყო 104 ათასი უმუშევარი.

## მდგომარეობა კამბოჯაში

პარიზი, 7 სექტემბერი. (საკდესი). კამბოჯაში შეუპოვარი ბრძოლები გრძელდება განთავისუფლების ძალებსა და პნომპენის რეჟიმის ჯარებს შორის. როგორც პნომპენიდან იტყობინებიან, პატრიოტები კონტროლს უწევენ ქვეყნის ორ უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო მაგისტრალს: № 4 გზატკეცილს, რომელიც პნომპენს კამპონგსომის საზღვაო ნავსადგურთან აერთებს და № 5 გზატკეცილს, რომელიც მებრინჯეობის ძირითადი ბატამბანგის პროვინციისაკენ მიემართება.

დღეს დილით განთავისუფლების ძალები განაგრძობდნენ შეტევით ოპერაციებს პროვინციულ ცენტრ კომპონგტიამიში, რომელიც 80 კილომეტრზე მდებარეობს პნომპენის ჩრდილო-აღმოსავლეთით მეკონგის ნაპირას. როგორც უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, კამპონგტიამში ალყაშემორტყმული პნომპენის ჯარები მეტად მძიმე მდგომარეობაში არიან. პატრიოტებმა მთლიანად დაიკავეს ქალაქის სამხრეთი ნაწილი, აგრეთვე ხელთ იგდეს უშუალოდ ქალაქის ცენტრთან მდებარე მთელი რიგი ობიექტები.

ალყაშემორტყმულ მოწინააღმდეგის დაჯგუფებას ჰაერიდან ამარაგებენ. მომარაგების ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობენ ამერიკის სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომლებიც მეზობელ ტაილანდში არიან დაბანაკებული.



# სიტყვა დაღესტნის სახალხო პოეტზე

## რასულ გამზათოვის დაბადების 50 წლისთავის გამო

„ჩემს დაღესტანში“ რასულ გამზათოვი თავის წარმოდგენებსაც გვაცნობს მთელ ჩვენს პლანეტაზე და ჩვენ ვრწმუნდებით, რომ იგი თავის პატარა ფრინველს ასე მიმზიდველად და შთამბეჭდავად ვერ დახატავდა, რომ ის დიდი ფრინველიც თავისი თვალით არ ენახა და მასზე თავისი წარმოდგენა...

...რველი, თაგორს რომ არ ენახა ნამდვილი ფრინველი, ამ თავის დიდებულ ფრინველსაც ვერ დახატავდა. მეც მყავს ასეთი დიდებული ფრინველი — ეს ჩემი დაღესტანია... არა იმიტომ, რომ იგი ჩემი კუთვნილებაა, არამედ იმიტომ, რომ მასზე ჩემი წარმოდგენა განსხვავდება სხვა ადამიანთა წარმოდგენისაგან“.

არა, აქ მარტო დაღესტანზე როდია ლაპარაკი,

...ილებს აზიისა და აფრიკის მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობაში, არის რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელთაგანი.

**სულით და გულით ვულოცავ დაბადების დღეს მოძმე დაღესტნის სახალხო პოეტს, სახელოვან საბჭოთა მწერალს, ჩვენს საყვარელ მეგობარს, ახალგაზრდა იუბილარს რასულ გამზათოვს.**

**ირაკლი აბაშიძე.**

# სვანეთის შვილობილები

## მათ დედ-მამა ფრონტზე დაკარგეს

...ზავნებოდა ალპინისტთა და მაღალი მთის რაიონების მცხოვრებთა, განსაკუთრებით სვანთა რაზმები... მიმდინარეობდა მტრისათვის დამღუპველი ბრძოლა. ხალხთა ძმობამ ყველა განსაცდელს გაუძლო... სვანებმა დიდი დახმარება გაუწიეს ჩვენს არმიას“.

თადარიგის გენერალ-მაიორი გ. ყურაშვილი წიგნში — „მრისხანე კავკასიონთან“ დაწვრილებით აღწერს კავკასიონის მთავარ ქედზე გაჩაღებულ ბრძოლებში პატრიოტი სვანების თავგანწირვას და იმ დიდ დახმარებას, რაც მოხალისე სვანებმა და მთელმა სვანმა მოსახლეობამ აღმოუჩინეს ფრონტის ამ უბანზე მოქმედ საბჭოთა ჯარებს.

ნაკრაში ბევრია ამ ბრძოლების მომსწრე და მონაწილე. ჰიტლერელთა სწრაფვა — გზა გაეკვლიათ შავიზღვისპირეთისაკენ, უნაყოფო აღმოჩნდა. მტერი ვერ ელირსა საქართველოს მიწაწყლის გათელვას.

...ამბობ: მაშინ ქლუხორის რაიონში ვცხოვრობდი. 1946 წელს უსახლკარობა გვტანჯავდა ჰიტლერელთა მიერ დარბეული ადგილების მცხოვრებლებს. ერთ დილით ფარდულში თვალი მოვკარი 3-4 წლის ჩამოკონკილ ტანსაცმლიან ბიჭუნას. გაძვალტყავებულს მარტო თვალები უჩანდა. ვასია ერქვა.

როცა ვკითხეთ, დედას ან მამას რა ერქვაო, ან რა გვარისა ხარო, ვერაფერი გვიპასუხა. დავბანეთ, მოვასულიერეთ. რამდენიმე თვის შემდეგ იგი ნაკრაში ჩამოვიყვანე. აქ ვასია იშვილა ცხრა ქალიშვილის მამამ დათა გვარმიანმა, მაშინ დათას მეუღლე ცოცხალი აღარ იყო. ქალიშვილები — ეფრო, ბედუ, თამარ, ჩათუ, ტაცი, სალომე, ნატალია, ანეტა...

...მეომრები სპეციალურად დადიოდნენ ულელტეხილის თავშესაფრებში ევაკუირებულთა დასახმარებლად. აქ ისინი იშვიათად როდი ხვდებოდნენ გონებადაკარგულ დედებს. უპატრონოდ მიტოვებულ ბავშვებს, ჩამოჰყავდათ ნაკრაში, სოფლებში ან უპატრონო ბავშვთა სახლებში ანაწილებდნენ.

ერთ დღეს სვანმა მებრძოლებმა დონღუზორუნის ყინულებში ნახეს სულმიხდილი დედა, რომელსაც გაყინულ გულმკერდზე 3-4 თვის ბავშვი ჩაეხუტებინა. ბავშვი...

...შეჰხარის ეს ოჯახი.

თუმცა ამ სიხარულს ჩრდილიც ახლავს, ვინა ხარ შენ, რა გვარისა, ვინ იყო შენი დედმამა, შეიძლება დაც გყავს, ძმაც, დედმამაც გადაურჩა ომის საშინელებას... იქნებ შეხვედრიხარ კიდევაც. ეს ფიქრები არ ასვენებს ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, კოლმეურნე დანდუსა და ვასიას. იქნებ ამ წერილის მკითხველებს გაახსენდეთ დანდუსა და ვასიას წარსული?

**ბ. ნოდია,**

„კომუნისტის“ საკ. კორ.



სურათზე: მარჯვნივ — დანდუ, მარცხნივ — ვასია გვარმიანები შვილებთან. ცენტრში: ვასია გვარმიანის აღმზრდელი და — 60 წლის სალომე გვარმიანი.

ზ. ჯაფარიძის ფოტო.



# მერეთი



გავიარეთ კარბი, მერეთის მეზობელი სოფელი. ამ შეხმატკბილებულ მეზობლებს ძველთაგანვე ჭირიც და ლხინიც საერთო ჰქონდათ. ახლაც ასეა. ერთი ცა ახურავთ და ერთი ჰაერი ასულდგმულებთ. დაიწყო ალვების მაღალი ხეივანი. ეს მერეთია.

ჩვენთან ერთად მოდის კოლმეურ...

...ბა. ყოველივე ამას ხელს ისიც უწყობს, რომ ბრიგადირები, აგრონომები, საწყობის გამგეები და მეცხოველეობის ფერმის სპეციალისტები, ძირითადად ახალგაზრდები არიან, შრომითი ენთუზიაზმი უხვად აქვთ.

საკოლმეურნეო სახელოსნოში განუწყვეტელი ხმაური ისმის. შედუღება, დეტალების გამოჩარხვა და...

...გამოფენაზე წარდგენილი მაჩვენებლების გამო ვერცხლის პატარა მედლით დააჯილდოეს, ლენინის დაბადების ასი წლისთავზე საიუბილეო მედლით დაუმშვენეს მკერდი.

შარშანწინ პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩიეს. თავმჯდომარეს მხარში ამოუდგა, მაგრამ თავმჯდომარეც მისი საიმედო მეგობარია. როდესაც ერთ მათგანს უჭირს, მეორე მზად არის დაეხმაროს. ასეთი შემთხვევები კი იშვიათი არ არის.

ნანული თავის მხრივაც ყოველდღე შემოივლის ხოლმე ბრიგადებს, ამოწმებს, როგორ მუშაობენ კომუნისტები. ადგილზე ეცნობა ნაკლსაც და წარმატებასაც. ყოველ საღამოს ბრიგადირების თათბირი იმართება, ამიტომ არის, რომ ამ თათბირებზე ნანულის მიერ მითითებული შენიშვნები მუდამ სამართლიანია.

აი ვის უნდა წაბაძოს და ვისგან აიღოს მაგალითი სოფლის ახალგაზრდობამ, რომ მიაღწიოს თავის კეთილშობილურ მიზნებს პატიოსანი შრომისა და მეცნიერების პრაქტიკულად დაუფლების გზით.

**ელიზბარ ზედგინიძე.**

• • •

სურათზე: ვახტანგ ბასილაშვილი.
მხატვარი გ. მაისურაძე.




# პრეს-კონფერენცია ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში

**5 სექტემბერს** ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც დაესწრო უცხოეთისა და საბჭოთა გაზეთების, რადიო-სატელევიზიო კომპანიების, საინფორმაციო სააგენტოების ორასზე მეტი კორესპონდენტი. პრესკონფერენცია გახსნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგემ ვ. ნ. სოფინსკიმ.

პრესკონფერენციაზე გამოსულმა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ...

...სავლეთის ბურჟუაზიული პრესა საქმეს ისე წარმოსახავს, თითქოს საბჭოთა კავშირში რაღაც „ოპოზიცია“ არსებობდეს, კრასინმა თავის გამოსვლაში განაცხადა:

— ჩვენ გამოვდიოდით მხოლოდ საკუთარი სახელით — მცირერი...

ერთ-ერთი მთავარი დასკვნა, რომელიც კრასინმა თავისი წინანდელი ცხოვრების ახლებურად გააზრების პროცესში გამოიტანა, პრესკონფერენციაზე მან ასე გამოთქვა: ჩვენი სახელმწიფოსა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ...

„კომიტეტების“ წარმომადგენელთა მიერ ანტისაბჭოთა გამოცემების უკანონო შემოტანის ფაქტების შესახებ.

— ვიცოდით, — განაცხადა მან, — რომ ჩვენი მოქმედებით ქვეყანაში არსებულ კანონებს...

...რი სასჯელის მოხდის შემდეგ. მინდა მეცნიერული მუშაობა განვაგრძო, თქვა კრასინმა. ვიშრომებ, უპასუხა იაკირმა, ისევე პატიოსნად, როგორც საბჭოთა ადამიანები შრომობენ.

**ვ. პეტრუნია,**

საქტესის კორ.

ეს ტერმინი პროპაგანდისტული მიზნით.

ფრანგმა ჟურნალისტმა „ე. ნომ (გაზეთი „ეკიპი“), მიმართა რა კითხვით იაკირს, თქვა, რომ...

## შემოქმედებითი პორტრეტები

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ქართული საბჭოთა თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიანიჭა დრამის მსახიობებს ე. ბაიკოვსკის, ო. მეღვინეთუხუცესს, გურ. სალარაძეს, ოპერის სოლისტებს ზ. ხოტკილავას, ც. ტატიშვილს, კომპოზიტორებს ა. ჩიმაკაძეს და გ. ცაბაძეს, რომელთა სახელები კარგად არის ცნობილი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ჩვენ გადავწყვიტეთ თვითეულ მათგანზე დავბეჭდოთ მცირე ზომის „შემოქმედებითი პორტრეტები", რომლებშიც ერთხელ კიდევ მოგითხრობთ ახალ სახალხო არტისტებზე.

# ცისანა ტატიშვილი



ცისანა ტატიშვილს დიდი მასშტაბის მომღერალს უწოდებენ. ესოდენ მაღალი შეფასება მან ბრწყინვალე ვოკალური მონაცემებით მოიპოვა. იგი ჭეშმარიტად უნიკალური ხმით არის დაჯილდოებული.

მართლაც, ც. ტატიშვილის ვოკალური მასალა განსაკუთრებული მოვლენაა თავისი იშვიათი სპეციფიკით, ულამაზესი ტემბრით, ფერადოვანი კოლორიტით, განუსაზღვრელი სიღრმე-სიმაღლით. მის ხმას სტიქიური ენერგია, თანდაყოლილი პლასტიკურობა და ექსპრესია ახასიათებს. ვოკალის სპეციალისტები ასეთი მდიდარი ბუნებისა და მაღალი ხარისხის დრამატულ სოპრანოს ნამდვილ განძად მიიჩნევენ.

ბუნებრივია, რომ ამ ძვირფასი ხმის პატრონს თავიდანვე აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენი მუსიკალური საზოგადოება, მათ შორის დიდი ქართველი მომღერალი და პედაგოგი სანდრო ინაშვილი, რომელმაც ც. ტატიშვილს გზა დაულოცა ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კედლებში. სულ მალე კი ახალგაზრდა მომღერლის ხალას ნიჭზე, მის მკვეთრსა და ჰარმონიულ შემოქმედებითს ინდივიდუალობაზე ყველა ალაპარაკდა.

რაღა თქმა უნდა, მისი ნიჭი ნაყოფს ვერ გამოიღებდა დაჟინებითი შრომა, ყოველდღიური პროფესიული წრთობა, და თვითმომთხოვნელობა რომ არა. სწორედ ამ გზით მიაღწია ც. ტატიშვილმა წინსვლას, წარმატებებს, აღიარებას. მართლაც, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენიდან დღემდე საგრძნობლად დაიხვეწა ტატიშვილის მუსიკალური კულტურა, განუზომლად ამაღლდა საშემსრულებლო ოსტატობის დონე, შესამჩნევად გაფართოვდა გამომსახველობითი საშუალებების სფერო, გაიზარდა რეპერტუარი.

ცხრა წელს ითვლის ცისანა ტატიშვილის არტისტული ბიოგრაფია. ამ ხნის მანძილზე იგი წარმატებებს იმკის ჩვენი საოპერო თეატრის პრემიერებში, რიგით სპექტაკლებში, კონცერტებსა თუ ტელეგადაცემებში. თავისი ვოკალურ-არტისტული ტალანტით აღფრთოვანებაში მოუყვანია საბჭოთა და უცხოეთის მსმენელნი.

ცისანა ტატიშვილს შესანიშნავი მხატვრული სახეები აქვს შექმნილი. იგი აღიარებულია ეთერის („აბესალომ და ეთერი"), აიდას („აიდა"), სანტუცას („სოფლის პატიოსნება"), ტოსკას („ტოსკა"), ლეონორას („ტრუბადური"), დონა-ანას („დონ-ჟუანი"), ნესტანის („ამბავი ტარიელისა"), ლიზას („პიკის ქალი"), ორტრუდას („ლოენგრინი") პარტიების შესანიშნავ შემსრულებლად. სწორედ ამ ოპერებში იჩინა თავი ც. ტატიშვილის მკვეთრმა შემოქმედებითმა ინდივიდუალობამ. აქ ფეთქავს მისი დრამატული ტემპერამენტი, ბრწყინავს ჰეროიკულ პათოსითა და ლირიკული მშვენიერებით დამუხტული მისი სიმღერა. აქვე იჩინა თავი ც. ტატიშვილის სამომღერლო ბუნების იშვიათმა თვისებამ — უნივერსალობამ, რის გამოც იგი მთელი თავისი არსებით ეგუება დიამეტრულად საპირისპირო მხატვრულ მიმართულებებს — ვერდისა და ვაგნერის, მოცარტისა და პუჩინის, ფალიაშვილისა და ჩაიკოვსკის თვითმყოფ მუსიკალურ სტიქიას.

მრავალი საინტერესო ფაქტით არის აღსავსე ც. ტატიშვილის შემოქმედებითი ცხოვრება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონაწილეობა ბერლინის „კომიშე ოპერის" სპექტაკლ „აიდაში". ც. ტატიშვილი პირველი ქართველი მომღერალი ქალია, რომელიც ნ. ანდღულაძესთან ერთად მიიწვიეს ევროპის ესოდენ სახელგანთქმული თეატრის პრემიერაზე. იქიდან დიდხანს ისმოდა ქართველი მომღერლების მისამართით გამოთქმული ქება-დიდების სიტყვები. აღსანიშნავია აგრეთვე ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის" გრამფირფიტები, რომელზეც ც. ტატიშვილის შთაგონებული სიმღერაა აღბეჭდილი. ძნელია ყველა იმ სპექტაკლისა თუ კონცერტის აღნუსხვა, რომლებიც ქართველმა მომღერალმა დიდის წარმატებით ჩაატარა მოსკოვსა თუ ლენინგრადში, ბალტიისპირეთში, ამიერკავკასიისა და საბჭოთა ქვეყნის სხვა რესპუბლიკებში.

მანანა ახმეტელი.



სოხუმი, სანაპიროზე.

ხ. კილაძის ფოტო.

## ამინდი

დღეს, 8 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, იქროლებს აღმოსავლეთის ქარი წამში 5-9 მეტრი, რიონის ხეობაში წამში 10-14 მეტრი სიძლიერისა, ტემპერატურა ბარში 24-28 გრადუსი, მთაში 18-22 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი, ხუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 22-26 გრადუსი, მთა რაიონებში 15-19 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა 24-26 გრადუსი სითბო.

## ი. ი. ბალანჩივაძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის კათედრის ყოფილი გამგე, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ივანე ილიას-ძე ბალანჩივაძე.

იგი დაიბადა 1902 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში. 1919 წელს შევიდა კომკავშირის რიგებში. 1923-1924 წლებში იყო სურამის კომკავშირის რაიკომის მდივანი, ხოლო 1924-1925 წლებში ზესტაფონის კომკავშირის რაიკომის მდივანი. 1925-1926 წლებში ი. ბალანჩივაძე საბჭოთა არმიის რიგებშია, ეწევა პოლიტიკურ მუშაობას. იქვე 1926 წელს მიღებულ იქნა პარტიის რიგებში.

1930 წელს ი. ბალანჩივაძე წარმატებით ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტს და იქვე სტოვებენ ასპირანტურაში.

1934-1942 წლებში ი. ბალანჩივაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე დოცენტის მოვალეობას ასრულებდა. მან 1941 წელს დაიცვა დისერტაცია ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1943 წელს კი მიენიჭა დოცენტის წოდება.

1959 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა, ხოლო 1963 წელს — პროფესორის წოდება.

1968 წელს ბალანჩივაძე სათავეში ჩაუდგა ახლად გამოყოფილ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის კათედრას.

ი. ბალანჩივაძე 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კაპიტალური ნაშრომი მიწის რენტის თეორიის საკითხებზე, რამაც საკავშირო აღიარება ჰპოვა და შეტანილია სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოში.

სპეტაკი კომუნისტის, მეცნიერისა და პედაგოგის ი. ბალანჩივაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი აღზრდილების, კოლეგების გულში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

ერთი დღე საქალაქო შტაბში

# ეძებენ დამნაშავეს...

## სანიმუშო წესრიგი — ყველგან და ყველაფერში!

თბილისში ერთიანი ფრონტით მიმდინარეობს ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ დევიზით: გადავაქციოთ ჩვენი დედაქალაქი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად!

1.

ამ დღეებში ქალაქ თბილისში დაიწყო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ შემუშავებული ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება. საწარმო-დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ყველა რაიონში შეიქმნა დამნაშავეობის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის ატმოსფერო.

გუშინ ჩვენ ვიყავით ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლის საქალაქო შტაბში, რომელიც მოთავსებულია თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობაში. აქ იყვნენ, რესპუბლიკაში ცნობილი მოწინავე ადამიანები, სახალხო რაზმეულების წევრები, სახალხო კონტროლიორები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, პენსიონერები, საწარმო-დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მეცნიერები. შემდეგ ქალაქის ცალკეულ რაიონებში ვნახეთ რეიდების მონაწილენი, რომელთა საქმიანობასაც პირადად პარტიის რაიკომის პირველი მდივნები ხელმძღვანელობენ.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო რეიდის ერთ-ერთმა მონაწილემ, კურორტოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ჯინჭარაძემ. მან საუბარში მოგვითხრო იმ ეპიზოდის შესახებ, რაც პირადად მას გადახდა მეგობრებთან ერთად. მისი იმდღევანდელი სიფხიზლე საქებარია. მან კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მილიციის მაიორებთან გ. ალიბეგაშვილთან, მ. მენაბდესთან და მილიციის კაპიტან ი. ქებაძესთან ერთად დააკავა თბილისის ქუჩებში მოხეტიალე ვინმე ლოთი ვ. ბაკულინი, რომელიც ცნობილი რეციდივისტი აღმოჩნდა. ამ გარეწარმა ქალაქ მოსკოვში ჩაიდინა მძიმე დანაშაული, გააუპატიურა მცირეწლოვანი გოგონა და მიიმალა. ვ. ბაკულინი ქურდობისათვის რამდენჯერმე ნასამართლევია.

რეიდის მონაწილეთა ერთი ჯგუფი კინოთეატრ „რუსთაველის" სალაროს ესტუმრა, რომლის შესასვლელთან გამოკრული იყო წარწერა „ყველა ბილეთი გაყიდულია". როგორც გამოირკვა, ეს კინომაყურებელთა თვალისასახვევად იყო გაკეთებული. შემოწმებისას მოლარე თ. წერეთელს გადამალული აღმოაჩნდა 92 ბილეთი. რეიდის მონაწილეებმა ისიც დაადგინეს, რომ ამ მოლარემ მოქალაქეებს ა. ჩიხლაძესა და კ. იოკატამიშვილს შვიდ ბილეთში ზედმეტად ერთი მანეთი და ათი კაპიკი გადაახდევინა.

იმ დღეს კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა, რომლებიც რეიდში იღებენ მონაწილეობას, სახალხო რაზმის წევრებთან ერთად 26 კომისრის რაიონის საკოლმეურნეო ბაზართან დააკავეს სპეკულანტი ჯანრი ლალოიანი (მცხოვრები 26 კომისრის ქ. № 2), იგი ხიზილალას ჰყიდდა. მან კილოგრამნახევარ ხიზილალაში ერთ-ერთ მოქალაქეს 125 მანეთი წაჰგლიჯა.

რეიდის მონაწილეებმა შტაბში წარმოადგინეს დოკუმენტები, რომლებიც ამხელენ ხულიგნობის აღმაშფოთებელ ფაქტებს. მარტო 5 სექტემბერს ფიქსირებულ იქნა ხულიგნობის და საზოგადოებრივი წესრიგის სხვა დარღვევის 34 ფაქტი. თბილისის „დოსაафის" სკოლის ინსტრუქტორი გენადი ხუჩრიანი მთვრალი იჯდა ავტომანქანის საჭესთან და ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე დათარეშობდა!

გურჯაანის რაიონის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი რ. გოგიძე მთვრალი იჯდა ავტომანქანის საჭესთან და თავდავიწყებით მიაქროლებდა ჭავჭავაძის პროსპექტზე.

აქვე, ამავე პროსპექტზე ავტომანქანის მთვრალმა მძღოლმა ზაურ ცირეკიძემ სიგნალების გაბმული ყვირილით აიკლო არე-მარე, მოსვენება დააკარგვინა მობინადრეებს, გამვლელ-გამომვლელებს.

რეიდის მონაწილეები გააოცა თბილხილბოსტანვაჭრობის № 32 მაღაზიის დირექტორის ბიძინა სალარიძის საქციელმა, იგი მთვრალი მართავდა საკუთარ ავტომანქანა „ვოლგას", თანაც მაღალხმოვანი სიგნალით აყრუებდა ქუჩას. რეიდის მონაწილეთა შენიშვნას არ დაემორჩილა. ბოლოს აქტი შეუდგინეს.

მაგრამ შეაყარე ცერცვი კედელს. მეორე დღეს, კოჯრის გზაზე კვლავ მთვრალი უჯდა ბიძინა სალარიძე ავტომანქანის საჭეს.

რეიდის მონაწილეებმა პედაგოგმა ლ. გახოკიძემ და თევზის ქარხნის ტექნოლოგმა ზ. მეძველიამ მილიციის მუშაკებთან ერთად ჭელიაბოვის ქ. № 13 მცხოვრებ მოქალაქე ა. გურბინის სახლში იპოვეს იარაღების მთელი კოლექცია: ოთხი სანადირო თოფი, სხვა სისტემის იარაღები, ბებუთები, სულ შვიდი ცეცხლსასროლი იარაღი. მსგავსი ფაქტები იარაღის უნებართვოდ შენახვისა ერთეული როდია დედაქალაქში.

უნებართვოდ სასროლი იარაღის შენახვას ბევრჯერ უბედურება მოსდევს. ასე მოხდა 6 სექტემბერს ღამით. ახალგაზრდა ვასილ სულაძემ, რომელიც შენიღბულად ინახავდა რევოლვერს, ამ იარაღით საკუთარი საცოლე გამოასალმა სიცოცხლეს.

2.

ბოროტმოქმედთა გამოვლინების დროს მისაბაძ მაგალითებს იძლევიან თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, მათ ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებთან ერთად გამოავლინეს მრავალი უქნარა, ლოთი, მოხულიგნო ელემენტი. მრავალ ახალგაზრდას მიუთითეს წესრიგისაკენ.

რეიდის მონაწილეებმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამედიცინო გამოსაფხიზლებელში ექვსი დღის მანძილზე 98 კაცი მიიყვანეს. მარტო 2 სექტემბერს ქუჩაში მთვრალი ნახეს 148 კაცი და ქალი.

მიუხედავად დიდი პროფილაქტიკური ღონისძიებებისა, არ იქნა და ჭკუა ვერ ისწავლა სავაჭრო დარგის ზოგიერთმა მუშაკმა. რესტორან „მტკვარის" თანამშრომელმა ო. ბარდალაშვილმა მომხმარებელს 6 მანეთითა და 49 კაპიკით მეტი გადაახდევინა.

ზოგიერთი დახლის მუშაკი თავისებურ ფანდს მიმართავს. დახლში თავის მაგიერ სამუშაოდ აყენებს რიგით მუშას, ხოლო როცა მას დარღვევის ფაქტზე წაასწრებენ, დახლის მუშაკი პასუხისმგებლობას იცილებს და ხელს ასავსავებს: — მე რა შუაში ვარო. ისინი პასუხისმგებლობას მაინც ვერ ასცდებიან.

ასე მოხდა ამჯერადაც. ერთი საათის შემდეგ ბრიგადამ კვლავ შეამოწმა აღნიშნული რესტორნის ბუფეტი. ახლა აქ მომუშავე მუშამ ნ. ორჯანიანმა, რომელიც მებუფეტეს ცვლიდა, მომხმარებელს ზედმეტად აართვა 1 მანეთი და 64 კაპიკი. საბჭოთა ვაჭრობის წესების მსგავსი დარღვევები გამოვლინდა რესტორან „წყნეთში", „ისინდში", „კოლხიდაში", კაფე „ცისარტყელაში". ათობით დარღვევა იქნა მხილებული თბილხილბოსტანვაჭრობის, კვებვაჭრობის, გასტრონომვაჭრობის და სხვა სავაჭრო ქსელის სისტემაში.

ექვსი დღის მანძილზე რეიდის მონაწილეებმა დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში ასობით ჩაუწერავი ადამიანი აღმოაჩინეს, მათ შორის უქნარები, მუქთახორები — 66 კაცი. ბევრი მათგანი შტაბებმა გადასცეს რაისაბჭოების აღმასკომებს სათანადო სამუშაოზე მოსაწყობად.

როგორც ცნობილია, უქნარა, მუქთახორა დამნაშავეობის წუმპეში ვარდება.

სწორედ მუქთახორობა შეიყვარეს სამჯერ ნასამართლევმა ვიქტორ მარტიროსოვმა და მისმა განუყრელმა მეგობარმა პასუხისგებაში ნამყოფმა გიორგი ვართანოვმა, მაგრამ კისერიც წაიტეხეს. 6 სექტემბერს ღამით ისინი კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების და არასაუწყებო დაცვის მუშაკებმა შეიპყრეს მაშინ, როცა ნაქურდალ ნივთებს ინაწილებდნენ.

თენგიზ ბადოევი არაერთხელ გააფრთხილეს ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა, რომ საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა დაეწყო. მაგრამ ამაოდ. ბოლოს მისი საქმე რაისაბჭოს აღმასკომის კომისიამ განიხილა, სამუშაოდ ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს სატრანსპორტო-საექსპლოატაციო კანტორაში გაგზავნეს, თან გააფრთხილეს, თუ პარაზიტულ ცხოვრებას არ მოიშლიდა, პასუხისგებაში მისცემდნენ. ახალგაზრდა თ. ბადოევმა პირობა კი დადო, მაგრამ შეთავაზებულ სამუშაოს ახლოსაც არ გაეკარა, ლოთობდა, ხულიგნობდა, რისთვისაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

3.

ორჯონიკიძის რაიონში ახლახან მუქთახორობით სახელი გაითქვეს ფალიაშვილის ქუჩის მცხოვრებმა ახალგაზრდა მოსე ქავთარაძემ, რიგის ქუჩის მცხოვრებმა სერგო ჭამინმა, ანაგის ქუჩელმა დემურ ბუცხრიკიძემ.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ გაესვას ხაზი ერთ მეტად მტკივნეულ საქმეს. რეიდის მონაწილეებმა მარტო ექვსი დღის მანძილზე გამოავლინეს ასამდე ბავშვი, რომლებიც სკოლაში არ დადიან და ქუჩა-ქუჩა დაეხეტებიან.

ეს ფაქტები საგანგაშოდ უნდა მიიჩნიოს ყველამ, ვისაც ბავშვთა აღზრდა-პატრონობის საქმე ეხება.

ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსის განხორციელება წარმატებით გრძელდება.

სადაც კი ვიყავით, ვინახულეთ რეიდის მონაწილენი, ყველგან განსაკუთრებული ტაქტით, თავაზიანობით, მოქალაქეთა პატივისცემით ასრულებენ რთულ, მაგრამ სასახელო დავალებას.

ამ ღონისძიებათა განხორციელების საქალაქო შტაბის ორგანო მრავალტირაჟიანი „საბრძოლო ფურცელი" ოპერატიულად აღწერს ყოველდღიურ ამბებს.

— მართალია, გასულ ექვს თვეში ერთგვარად გაიზარდა დანაშაულთა რიცხვი, სუსტად ეწყობოდა ბრძოლა ხალხის დოვლათის დამტაცებლების, ბოროტი ხულიგნების, ბინების ქურდების, მუქთახორების წინააღმდეგ, — გვითხრა ამ ღონისძიებათა განხორციელების საქალაქო შტაბის უფროსის მოადგილემ, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა მ. ჯაფარიძემ, — მაგრამ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად უკანასკნელ ხანს შესამჩნევად იკლო დანაშაულობებმა. ამას წინათ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა მოისმინა გაწეული მუშაობის პირველი შედეგები. დასახულია ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა წუთითაც არ ნელდება და არც შენელდება. იგი მიმდინარეობს ყოველდღიურად, ყოველ საათს.

ყველაფერი კეთდება ჩვენი დედაქალაქის ღირსებისათვის, მისი მოსახლეობის უშფოთველი და მშვიდი ცხოვრებისათვის.

აკ. გოცირიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

## დღეს ფეხბურთი კიევში

„ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები გაიმართება დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე.

ქართველი გულშემატკივრების ყურადღება მიპყრობილია უკრაინის დედაქალაქისაკენ, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ძველი მეტოქეები — კიევისა და თბილისის დინამოელები. ამ მატჩის მეორე ნახევრის ტრანსლაცია საქართველოს რადიოთი დაიწყება 21 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.

## ცვლილება კალენდარში

სსრ კავშირისა და ჩილეს ნაკრები გუნდების მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩთან დაკავშირებით ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ შეცვალა ჩვენი ქვეყნის პირველობის რამდენიმე შეხვედრის თარიღი.

23 სექტემბრისათვის დანიშნული ტური გადატანილია ოქტომბრის მეორე ნახევრისათვის. 20 ოქტომბერს ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის „დინამო" და „სპარტაკი", „დნეპრი"-„ზარია", მოსკოვის „დინამო"-„ტორპედო" და „კარპატი"-კიევის „დინამო". 21 ოქტომბერს ითამაშებენ „არარატი"-მინსკის „დინამო", „კაირატი"-ცსკა, „პახტაკორი"-„ზენიტი", „შახტიორი"-სკა.

20-21 ოქტომბრისათვის დანიშნული შეხვედრები გაიმართება ნოემბრის დამდეგს. 1 ნოემბერს იასპარეზებენ მოსკოვის „დინამო"-„შახტიორი", „ტორპედო"-სკა, „კაირატი"-„ზარია" და „ზენიტი-თბილისის „დინამო". 2 ნოემბერს ერთმანეთს შეხვდებიან მინსკის „დინამო"-„დნეპრი", ცსკა-„არარატი" და „სპარტაკი"-„კარპატი".

## სპორტი

### რამდენიმე სტრიქონით

● ჭიდაობა. ირანის დედაქალაქში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. პირველი შეხვედრა თბილისელ ლევან თედიაშვილს ჰქონდა იაპონელ ინო ხიტოკურისთან და ბეჭებზე დასცა იგი ორ წუთსა და 18 წამში.

● წყალბურთი. სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელიც ბელგრადში გამოდის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ფინალურ ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვა — ანგარიშით 6:2 დაამარცხა იტალიის გუნდი.

● ჭადრაკი. სოჭში მ. ი. ჩიგორინის მემორიალზე გათამაშდა მეხუთე ტური: ტალმა მოუგო სპირიდონოვს (ბულგარეთი). ფილიპ-სპასკის, კროგიუს-ტიმანის, სუეტინ-ხოლმოვის, ჰეინინგს-საბოს პარტიები ყაიმით დამთავრდა. ხუთი ტურის შემდეგ სამ-სამი ქულა აქვთ სუეტინს, ხოლმოვს და ჰოლანდიელ ტიმანს, რომელმაც გადადო ერთი პარტია.

## ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 7 სექტემბრის ბრძანებულებით ამხ. მამია ამბერკის-ძე მეგრელიშვილი განთავისუფლებულია საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

## პირველი პროგრამით

□ 10 სექტემბერი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.35 — ახალი ამბები, 18.40 — განცხადებები, 18.45 — „მსოფლიო დღეს", 19.05 — „ხვალ — რადიოთი", 19.10 — „სამშობლოს უპატაკებს სვერდლოვსკის ოლქი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — კონცერტი, 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „პალიტრა", 21.30 — „გულგრილობა და უკონტროლობა — ღრმა ბოლო მოვუღოთ მათ", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „სიმაღლე".

□ 11 სექტემბერი

10.00 — გადაცემათა პროგრამა, 10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინონარკვევი, 11.00 — სკოლების დასახმარებლად: მათემატიკა (მეექვსეკლასელთათვის). მანქანის ძირითადი თვისებები), 11.25 — კინონარკვევი, 11.45 — ფერადი ტელევიზია. „ცხოველთა სამყაროში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.50 — სატელევიზიო დადგმა „ბატონი გოლოვლიოვები". პირველი სერია, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — „ბავშვებს — ცხოველების შესახებ" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — მოსწავლეთათვის „სატელევიზიო ფოსტა", 19.00 — „ადამიანი — ბუნების მეგობარი", 19.25 — „სპორტული კვირეული", 19.45 — გორის ბამბეულის კომბინატის თვითმოქმედება, 20.30 — ფერადი ტელევიზია. „ობიექტივშია იაპონია". უჩვენებს სატელევიზიო კომპანია ეინ-ეკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ხვალ — რადიოთი", 21.35 — „ყვირილის დილა", 21.55 — პროგრამა 12 სექტემბრისათვის, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ინჟინერი პრონჩატოვი". პირველი სერია. 23.35 — ახალი ამბები.

□ 12 სექტემბერი

10.30 — გადაცემათა პროგრამა, 10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინოპროგრამა, 12.00 — სატელევიზიო დადგმა „ბატონი გოლოვლიოვები", მეორე სერია, 17.00 — გადაცემათა პროგრამა, 17.05 — ენის შემსწავლელთათვის: რუსული ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — ენის შემსწავლელთათვის: ინგლისური ენა, 18.15 — ბავშვებისათვის, „ცანგალა და გოგონა", 18.35 — განცხადებები, 18.40 — „ხვალ — რადიოთი", 18.45 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა", 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: „დინამო" (თბილისი)-„პახტაკორი" (ტაშკენტი), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ფერადი ტელევიზია. ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე: „დინამო" (მოსკოვი)-„დინამო" (კიევი), ნახევარფინალი, მეორე ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ინჟინერი პრონჩატოვი". მეორე სერია, 23.50 — ახალი ამბები.

□ 13 სექტემბერი

10.30 — გადაცემათა პროგრამა, 10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — „ცირკის დღესასწაული". სატელევიზიო ფილმი, 11.35 — სატელევიზიო ფილმი „სათვალიანი", 12.35 — სატელევიზიო ფილმი, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის. მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.45 — „ხვალ — რადიოთი", 18.50 — რეკლამა, 19.00 — „დამხმარე სამუშაოთა მექანიზაცია და მისი ეკონომიური ეფექტიანობა", 19.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „გლობუსი", 20.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — კონცერტი დიმიტრი კაბალევსკის ნაწარმოებებიდან, 21.30 — კინონარკვევი, 21.40 — საერთაშორისო მიმოხილვა, 21.55 — პროგრამა 14 სექტემბრისათვის, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ინჟინერი პრონჩატოვი", მესამე სერია, 23.35 — ანსამბლ „გაზაფხულის" კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან).

□ 14 სექტემბერი

10.30 — გადაცემათა პროგრამა, 10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინონარკვევი, 11.00 — სკოლების დასახმარებლად: ქართული ენა, 11.25 — მხატვრული ფილმი „რიგგარეშე მატჩი", 12.50 — ასტრახანის ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — მოსწავლეთათვის, „როგორ გავატარე ზაფხული", 19.20 — „ხვალ — რადიოთი", 19.25 — „გამომუშავების ზრდა — სადღეისო მოთხოვნათა დონეზე", 19.50 — „სოციალიზმის სამყარო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „მუსიკალური ფოსტა", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „კანონიერების სადარაჯოზე", 21.55 — პროგრამა 15 სექტემბრისათვის, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „მღერის ლამარა ჭყონია". პრემიერა, 23.30 — ახალი ამბები.

□ 15 სექტემბერი

10.00 — გადაცემათა პროგრამა, 10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — მხატვრული ფილმი, 11.40 — ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის. „თოჯინების მაღაზიაში", 12.10 — დოკუმენტური ფილმი „მოთხრობები კომუნისტებზე" (ქართულ ენაზე), 13.00 — სატელევიზიო ფილმი, 13.35 — „მუსიკალური შეხვედრები". ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „მზიურის" კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის", 14.30 — „წარსული წლების კინოლენტები. მხატვრული ფილმი „კოლეგის რეგისტრატორი", 15.45 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 16.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — „ჯანმრთელობა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — კინონარკვევი, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — „სამხრეთ პანორამა", 18.30 — კინონარკვევი, 18.40 — „წიგნის სამყაროში", 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: „დინამო" (თბილისი)-„დინამო" (მინსკი), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ვაჟრობის მაღალი კულტურისათვის", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „13 სკამი" (გადმოცემა მოსკოვიდან).





□ 16 სექტემბერი

10.00 — გადაცემათა პროგრამა, 10.05 — დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის. „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა", 11.45 — კინონარკვევი, 12.00 — „დღეს ტყის მუშაკის დღეა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის „კინოდარბაზი. ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „ოქროს რქა", 13.55 — სატელევიზიო ფილმი, 15.00 — „ლიტერატურული შეხვედრები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — „საერთაშორისო პანორამა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — „გამომგონებელი", 16.55 — კინონარკვევი, 17.15 — ბალეტის მოყვარულთათვის, 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: „არარატი" (ერევანი)-„სპარტაკი" (მოსკოვი) ერევნიდან), 19.45 — „ხვალ — რადიოთი", 19.50 — „მეგობრობის გადაძახილი", 20.15 — დოკუმენტური ფილმი „საუკუნე ყვავილებთან" (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 20.35 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — კინონარკვევი, 21.10 — „კინოს სამყაროში", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

ყურადღება! უყურეთ! ტელევიზორი

## ტელევიზია

8 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში ყველასათვის, 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ქართული მხატვრული ფილმი „შეხვედრა წარსულთან", 12.10 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის", 12.40 — რეკლამა, 12.45 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — სატელევიზიო ფილმი, 14.20 — „თუ თბილისელი ხარ" (განმეორებით), 15.00 — „მშვიდობის საბჭოთა პროგრამა და საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 16.00 — „მიზანი — წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარება", 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — ფერადი ტელევიზია „ცხოველთა სამყაროში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.20 — სპორტული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — „მოგონებები მომავალზე", 20.20 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — ფერადი ტელევიზია. ჯ. ვერდი ოპერა — „რიგოლეტო". სატელევიზიო მუსიკალური ფილმი (გდრ-ის, იტალიისა და საფრანგეთის ტელევიზიების ერთობლივი ნაწარმოები), 23.20 — „ვრემია" (ვიდეოჩანაწერი), 24.00 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ცურვაში (გადმოცემა ბელგრადიდან).

მეორე პროგრამით

17.00 — კინოპროგრამა, 18.50 — კონცერტი, 19.30 — სატელევიზიო ფილმი, 20.30 — მხატვრული ფილმი „პასუხს ვაგებთ ყველაფერზე".

## რადიო

9 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის" საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოაფიშა", 12.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „მედოლის ბედი" (ნაწილი პირველი), 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-საუბარი „რ. შუმანი", 14.00 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი", 14.30 — მ. ფარცხალაძე. თემა ვარიაციებით, 14.45 — ა. გაწერელია. „ლერწამი და გობელენი", 15.00 — „მეგობრობის კონცერტი", (ტრანსლაცია ბაქოდან), 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები", 17.10 — კონცერტი ტანკისტთა თხოვნით, 18.10 — „დიდები და პატარები". საუბარი „ჯანსაღი ყოფაქცევის აღზრდა ბავშვებში", 18.25 — საესტრადო კონცერტი, 19.30 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „ხუთწლედის მოწინავენი", 20.35 — „ქართული თეატრის წარსულიდან", 21.20 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ნუ ვწუწნით, ნუ ვუწყალეთ

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-98-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02740 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.